18. 11. 2013

№ 394

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND INFRASTRUCTURE OF GEORGIA

KA050136190153113

საქართველო, თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. 12; ტელ: (+995 32) 2510 611; ფაქსი: (+995 32) 2510 679

12, AL. Kazbegi ave. 0160 Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 2510 611; Fax: (+995 32) 2510 679

№5648/გ

13 / ნოემბერი / 2013 წ.

საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS)
დირექტორს სერგი კაპანაძეს

ბატონო სერგი,

2013 წლის 18 ოქტომბრის თქვენს განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ლენტეხის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი გვირაბის მშენებლობას, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2013 წლის 25 ოქტომბრის პასუხზე დამატებით, დანართის სახით გიგზავნით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი,

პატივისცემით,

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის
უფროსი

მაგდა პოპიაშვილი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-04/6488
07/11/2013

6488-2-04-2-201311071429

საქართველოს რეგიონული განვითარებისა
და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილეს
ბატონ შოთა მურღულიას

ბატონო შოთა,

თქვენი მიმდინარე წლის 25 ოქტომბრის №5284/გ წერილით დაგვეწერა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში შემოსული საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS) 18.10.2013წ. №624 წერილი, რომელიც ეხება ლენტეხის რაიონში დაგეგმილი გვირაბის მშენებლობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

აღნიშნულზე მოგახსენებთ, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს საქართველოს მთავრობის 2011 წლის 11 მარტის №550 განკარგულებით დაევალა ქუთაისი–ლენტეხი–მესტიის საავტომობილო გზის ლენტეხი–მესტიის მონაკვეთის მშენებლობისათვის ტექნიკურ–ეკონომიკური დასაბუთების (ფიზიბილიტი) პროექტის მოზადება, გარემოზე ზემოქმედების ანალიზისა და განსახლების ჩარჩო დოკუმენტის ჩათვლით. იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული პროექტის მომზადება დაკავშირებული იყო კომპლექსური ხასიათის რთულ საინჟინრო–საკვლევაძებო ღონისძიებების გატარებასთან, საავტომობილო გზების დეპარტამენტის წინაშე დადგა საკითხი მომსახურების განხორციელების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით და 2011 წლის 11 მარტის №550 განკარგულებაში შევიდა ცვლილება (2011 წლის 29 დეკემბერი №2612), სადაც სამუშაოების ვადად განისაზღვრა 2011–2012 წლები. გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ აღნიშნული პროექტი 2011–2012 წლებშიც არ განხორციელდა, 2012 წლის 28 დეკემბრის №2087 განკარგულებით შევიდა ცვლილება, სადაც მომსახურების განხორციელების ვადად განისაზღვრა 2011–2013 წლები.

გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ აღნიშნული პროექტი საკმაოდ ძვირადღირებულია, შესაბამისად აუცილებელია, რომ ტექნიკურ–ეკონომიკური დასაბუთების დაწყებამდე განისაზღვროს ჩასატარებელი სამუშაოების დაფინანსების წყარო. ამ ეტაპზე, ძირითადი პრიორიტეტი არის E-60 სატრანზიტო არტერიული მაგისტრალის მშენებლობის დასრულება და შესაბამისად სამშენებლო ფინანსური რესურსიც ამ მიმართულებით არის მობილიზირებული, რის გამოც ამ ეტაპზე ლენტეხი–მესტიის მონაკვეთის მშენებლობის, პროექტირებისა და ტექნიკურ–ეკონომიკური დასაბუთების მომზადება ჯერ–ჯერობით განხილვის სტადიაშია.

პატივისცემით,

დავით შავლიაშვილი

დეპარტამენტის თავმჯდომარე

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

საქართველოს რეგიონული
განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტრო
№ 11645 07 11 2013 წ.
ფურცელი